მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰპოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარულ ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენოთ თქვენ. მათ. 11—28.

№ 14 1883—1903 30 ივლისი

სად უნდა ინახებოდენ ჩვენი წმიდა და შესანიშნავი საეკკლესიო ნივთები?

მოსკოვის ერთი გაზეთი შემდეგ საყურადღებო ამბავს მოგვითხრობს: „ჩვენ გავიგონეთ, განკარგულება მოხდაო, რომ ძველი წმინდა ხატი, ჯვარი, სახარებები და წიგნები, რაც კი მოიპოება საქართველოს ძველს მონასტრებში, სულ საეკკლესიო არხეოლოგიურ მუზეუმში უნდა გადაიტანონ, ტფილისის სიონის საკრებულო ტაძართან რომ არისო. ვეჭვობ, არსად ქვეყანაზედ იმდენი ძვირფასი სახსოვარი ძველი მსოფლიო გონება-განვითარებისა და განათლებისა არ მოიძევებოდეს, რამდენიც არის კავკასიის აქეთ მხრის სხვა-და-სხვა კუთხეებში. გავიხსენოთ მხოლოდ გელათი და სხვა მონასტრებიო, რომელთა სალაროებში ინახება ძველი ძვირფასეული სღვდელ-მოქმედო საგნები, მილიონებად სადირალიო, რაკი ყველა კავკასიის აქეთა მხრის მონასტრებიდან მდიდარი ნაშთი წარსული საუკუნოებისა: ძველი ხატები, მხატვრობა და მინაქრის ხელოპა გადავა ტფილისს, მაშინ იქ მოგროვდება იმდენი სიმდიდრე წარსული ცხოვრებისა, რომ ქვეყანაზე უმდიდრესი მუზეუმი აღარ იქნება, რადგან მარტო გელათის მონასტრიდან გადიტანებენ იმდენ აუარებელს ძველს სახარებებს და წიგნებს მეცამეტე საუკუნიდან მოკიდებულ მეხუთმეტე საუკუნემდის, რაც ძველი შესანიშნავი მწიგნობრობის ნიმუში და მინანქრული ხელობა ყოფილაო.

ეს ამბავი, ჩვენის აზრით, ახალი არ არის, ძველია და არც მართალი უნდა გამოდგეს. სასულიერო ძ საეკკლესიო სხვა-და-სხვა ძველ ნაშთთა შესანახავის, მუზეუმის, აშენება თფილისში სიონის ტაძართან ეკუთვნის აწ უკვე განსვენებულს მთავარ-ეპისკოპოს პავლეს. ამ მუზეუმის აღშენების შესახებ კითხვა აღძრა განსვენებულმა დიმიტრი ბაქრაძემ. განსვენებული დ. ბაქრაძის აზრი იყო, რომ საქართველოს საექსარხოსოს ყველა კუთხეებიდან მოეკრიბათ ისტორიულის და არქეოლოგიურის მხრით საყურადღებო ნაშთნი და თფილისში გადმოეტანათ. შეუგენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლმუზეუმის შენებას სიონის ტაძართან, რომელზედაც დაიხარჯა 4000 მანეთამდე. მოახსენეს უწმიდეს სინოდს მუზეუმის აშენება და მასთან სთხოვეს, რომ ამ მუზეუმში გადმოეტანათ ყოველივე შესანიშნავი ძველი ნაშთნი. უწმიდესმა სინოდმა მოისმინა საქართველოს ექსარხოსის მოხსენება და მოსაზრება, რომელიც დაფუძნებული იყო განსვენებული დ. ბაქრაძის მოსაზრებაზედ და დასდვა თავისი მშვენაერი და ყოველის მხრით მოფიქრებული განჩინება.

ამ საქმის შესახებ მათმა მეუფებამ, მთავარეპისკოპოსმა პალადიმ საქართველოს ექსარხოსად მყოფობის დროს უქაზი მიიღო უწმიდესი სინოდისაგან 1890 წელში. ამ უქაზის ძალით მათ მეუფებას ნება ეძლეოდა თბილისის საეკკლესიო მუზეუმში გადაეტანათ ისტორიულის და არქეოლოგიურის მხრით შესანიშნავნი ძველნი ნაშთნი ჩვენი ეკკლესიებიდამ (ხატების და ჯვრების გადატანის შესახებ კი არაფერი არ ყოფილა), მაგრამ იმ პირობით, თუ ამ ნივთების გადატანაზე თანხმობას განაცხადებდა ეკკლესიის კრებული, სამრევლო და მონასტრების წინამძღვარნი და ძმანი. იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრის წინამძღვარმა, არქამანდრიტმა მაკარიმ და მცხეთის ტაძრის კრებულმა მართლაც განაცხადეს სურვილი, რომ ამ მონასტრიდამ და ტაძრიდამ ყველა შესანიშნავი ძველი ნაშთნი გადაეტანათ თბილისის საეკკლესიო მუზეუმში და კიდევაც გადაიტანეს. სხვაგან არსად არ გამოუცხადებიათ ასეთი სურვილი და არც ძველი ნივთები დაუძრავთ ადგილიდამ.

როდესაც იოანნე ნათლის-მცემლის მონასტრიდამ ს მცხეთის ტაძრიდამ ძველი ნაშთები ჩაიტანეს თბილისში, დეკანოზმა კალისტოვმა მომწერა: „არქეოლოგიური ეკსკურსია მოვახდინეთ კახეთისა და მცხეთისაკენ მე და ბაქრაძემ და აუარებელი შასანიშნავი ძველი ნივთები აღმოვაჩინეთ“ო; მთხოვდა ამაების დაბეჭდვას გაზეთში. მაგრამ მე არ დავბეჭდე მისგან გამოგზავნილი წერილი, როგორც უსაფუძვლო და კიდეც გამოუცხადე, რომ ეკკლესიიდამ ან მონასტრიდამ ძველი ნაშთების გადატანა თბილისის მუზეუმში არ შეადგენს არქეოლოგიურ ეკსკურსიას-მეთქი...

გამოტეხილი უნდა ვსთქვათ, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი განსვენებული დიმიტრი ბაქრაძის მოსაზრებისა, რომ ყველა ჩვენი ეკკლესიებიდამ და მონასტრებიდამ ძველი ნაშთნი თბილისში გადაეტანათ. მე თანახმა ვიყავი, რომ ყოველ ეპარქიაში დაარსებულიყო ამისთანა მუზეუმები, როგორც ეს რუსეთშია შემოღებული. ამ ჩვენმა კინკლაობამ ბ. ბაქრაძესთან ბატონ კონდაკოვამდისინაც მიაწია. ბატონი კონდაკოვიც ჩვენი აზრის თანახმა იყო და ისიც ჩვენთან ერთად ურჩევდა მართებლობას თვითეულ ეპარქიაში მუზეუმის დაარსებას, ჩვენი ეკკლესიების და მონასტრების შესანიშნავ ძველ ნაშთთა დასაცველად...

არ ვიცი რუსულ გაზეთს სინოდის ეს უკანასკნელი განკარგულება შეუტყვია და აცხადებს ეხლა, თუ ახალი რამ განკარგულება მოხდა 1890 წელს აქეთ ამ საქმის შესახებ? არა გვჯერა, რომ ზემოდ ხსენებული უქაზის რაიმე ახალი წინააღმდეგი უქაზი გამოსულიყოს. არ გვჯერა ეს იმიტომ, რომ ყოვლად შეუძლებელია ჩვენი საქართველოის ყველა მონასტრების და შესანიშნავი ეკკლესიების ჯვრების, ხატების, ხელნაწერების და სხვა ძველი ნაშთების თბილისში გადატანა. სხვა არა იყოს რა, სად შეიძლება დაეტიოს ეს ამოდენი ნივთები?

განსვენებული დ. ბაქრაძე დარწმუნებული იყო, რომ ექსარხოსობა ჩვენში საუკუნოდ დარჩებოდა და ამისათვის ერთობა საექსარხოსოის ყველა ეპარქიებისა შეუცვლელი იქნებაო. მაგრამ ეს მისი ფიქრი ძლიერ უსაფუძვლო იყო და არის. ჩვენ არ გვჯერა, რომ ექსარხოსობა ნიადაგ დარჩეს ჩვენში. ვფიქრობთ რომ, მალე თუ გვიან, ჩვენი ეპარქიებიც ისე დამოკიდებულნი იქნებიან უწმიდეს სინოდთან, როგორც რუსეთის ეპარქიებია და ნაცვდად სინოდალნი კანტორისა თვითოეულს ეპარქიაში დაარსდება კანსისტორია. მაშინ სრულებით მოუხერხერხებელი იქნება თბილისის მუზეუმი საქართველოს სხვა ეპარქიებისათვის. ესეც რომ არ იყოს, ერთი ეპარქიიდამ მეორე ეპარქიაში ნივთების გაგზავნა კანონისაც და ჭკუიანური მოფიქრებისაც წინააღმდეგია.

(შემდეგი იქნება)

დეკ. დ. ღამბაშიძე.

უქმე და მისი მნიშვნელობა.

ჩვენს ქვეყანაში უქმეს ის მნიშვნელობა და ძალა არ ააქვს, როგორც ძველად ჰქონდა და ხშირად, წინაღმდეგ, ხალხი არა უქმე უქმად მიაჩნია და თავისებურად ატარებს დროს იმ დღეს. ამისათვის გვინდა აღვნიშნოთ ჩვენ ნამდვილი უქმე, მისი დასაწყისი და ეკკლესიური დაწესებულება მისი ძველის დროიდამ ჩვენამდე.

ძველს აღთქმაში პირველი, უმთავრესი უქმე იყო შაბათი. ამას ამტკიცებს თვით მეოთხე მცნება, სადაც განმარტებულია, რომ ექვსი დღე გააჩინა ღმერთმა ყოველის საქმის ჰქმნადაო, „ხოლო დღე იგი მეშვიდე შაბბათი უფლისა ღვთისა“. თვით უფალმა ღმერთმან ჩვენმან აკურთხა ეს დღე შაბათი მით, რომ ექვსი დღის განმავლობაში გააჩინა რა ხილული და უხილავი ქვეყანა, მეშვიდე დღეს განისვენა. ამას გარდა სხვა უქმეებიც მრავალი იყვნენ ურიებში, როგორც მაგალითად პასექი, ერგასი, დღე ტალავარისა და სხ. ეს უქმეები განსაკუთრებულ დღეებათ ითვლებოდენ ებ ურიები იმ დღეებში თავს იყრიდენ სამლოცველოებში, ლოცულობდენ და იგონებდენ იმ ამბებს, რომლის მამასწავებლად ეს დღესასწაულები იქმნენ შემოღებულნი მათში. მაგ. პასექი იყო მამასწავებელი ებრაელების ეგვიპტის მონობიდან დახსნისა და მეწამულის ზღვაში გამოსვლის. იმ დღის მოსაგონებლად ურიებს უნდა დაეკლათ ცხვარი უმანკო, სისხლი კარებზე წაეცხოთ და მწვანილით ეჭამათ იგი.

იესო ქრისტეს ქვეყნად მობრძანების შემდეგ უქმეები ზოგი ძველის აღთქმიდან გადმოტანილ იქმნა შეცვლით ებ განსხვავებით ებ ზოგიც შემდეგში თან-და-თან ემატებოდა იმის და-მიხედვით თუ უფალი რა დროს რა სასწაულს და მფარველობას გამოიჩენდა ხოლმე ერზედ. ებრაელების შაბათის წილ ძველის აღთქმიდან ახალს აღთქმაში დაწესდა კვირა. ამ დღეს ქრისტიანული ეკკლესია განსაკუთრებით პატივს ცემს სხვა დღეებთან შედარებით, რადგან იმ დღეს მოიხსენებს მაცხოვრის აღდგომას მკვდრეთით. ის დღე დღესასწაულად დადგენილია თუარა თვით იესო ქრისტესაგან, მოციქულებისაგან ხომ მაინც უეჭველად. მაცხოვრის აღდგომის წინა შაბათს დღეს მოციქულებმა „შაბათი იგი დაღაიდუმეს მცნებისა მისთვის“ (ლუკ. 23, 56). ამის შემდეგი დღე პირველი დღე კვირისა იყო სადაგი დღე. მაგრამ ამ დღეს გამოეცხადათ მათ მაცხოვარი აღდგომილი მკვდრეთით, განიხარეს მოწაფეთა იხილეს რა უფალი“ (იოან. 20, 19—20). აქედან მოკიდებული ეს დღე მოციქულებისათვის განსაკუთრებულს სასიხარულო დღედ ჩაითვალა და შესაძლებელია აქედამ იწყება უქმობა ამ დღისა. ამ კვირის პირველს დღეს მოციქულებს რომელიც შეკრებილიყვნენ ერთად გამოეცხადათ მაცხოვარი. იმ დღეს მან გამოუგზავნა სულიწმიდა მოციქულებს. ყველა ამაებისა გამო ეს დღე შეიქმნა განსაკუთრებულ სადღესასწაულო დღედ. ამ კვირა დღის, ქრისტეს აღდგომის დღეს გარდა, მართლმადიდებელს ეკკლესიაში ირიცხება კიდევ ათ-ოთორმეტი უმთავრესნი დღესასწაულნი: ხარება (უძველესი დღესასწაული), ქრისტეს შობა (მოციქულების დროის), ნათლის-ღება (მოციქულების დროის), ფერის-ცვალები (მესამე საუკუნედამ), ჯვართ-ამაღლება (326 წ.) და სხვ.. არიან კიდევ სხვა უძრავ-მოძრავნი დღესასწაულნი და წმიდანების მოგონების ნიშნად შემოღებული დღენი. წლის ყოველს დღეს რაიმე წმიდანს დღესასწაულობს ქრისტეს ეკკლესია. საქართველოს ეკკლესია იხსენიებს მაგალითად: იანვრის 14 წმ. ნინოს, თებერვლის 22 წმ. ცხრათა ძმათა კოლასელთა ქართველთა, მარტის 17 წმ. დარიასა, მაისის 1 თამარ მეფესა, ოქტომბრის 1 სვეტი-ცხოვლობასა და სხვ..

ახლა ვნახოთ როგორ მნიშვნელობას აწერდენ და როგორ ატარებდენ უქმეებს ძველად და ახალს აღთქმაში: თავი და თავი მნიშვნელობა იმ დღისა, უქმესი, ის იყო რომ დაესვენათ, რაგან თვით ღმერთმა განისვენა მეშვიდე დღეს საქმეთაგან თვისთა. მოციქულებიც ასე მოიქცენ. მოციქულებმა კვირა დღეს დააწესეს საზოგადო ღვთისმსახურება—საიდუმლო ზიარებისა. მე IV საუკ. გადმოცემა ჰმოწმობს, რომ იმ დღეს ლიტურგიის გარდა, ღამის თევით ლოცვა და მწუხრიც სრულდებოდაო. ღვთის მსახურების დროს ხალხი მიუცილებლად უნდა მისულიყვნენ და მოესმინათ მოძღვრებანი.

გარდა კვირა დღისა, სხვა უქმე დღეებშიაც ქრისტიანებს უნდა შეეწირათ დრო სულის საქმისათვის, ე. ი. მოგონებანი, კეთილი საუბარი და მოძღვრებანი,—აი ამათთვის უნდა ეზრუნათ „ეკკლესიიდამ გამოსვლის შემდეგ, ამბობს იოანე ოქროპირი, შინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მივალთ უნდა მოვიგონოთ ყველა ის, რაც იქ გვესმა". რომ მთელად ეს დღე დანიშნული ყოფილიყო სულისათვის, ეკკლესია უკრძალავდა ყველა იმის გაკეთებას, რაც იმის სულის ხელის შემშლელი იყო და უწინარეს ყოვლისა—საქმეს საქვეყნოს. იმ დღეს ყოველივე მუშაობა უნდა შეჩერდეს რომ სულს მოსვენებით შვება მიეცეს, ამბობს იოანნე ოქროპირი. სოკრატი V წიგნის 22 თავში, საეკლესიო ისტორიაში ამბობს: „ერს უყვარს უქმეები, რადგან იმათ განმავლობაში ისვენებენ მუშაობიდანაო". უქმეების შენახვას ავალებდა გარდა ეკკლესიისა საერო მართებლობაცა ძველთაგან უქმეებზე ცალკე კანონების გამოცემით. პირველად გამოსცა ამისთანა კანონები კონსტანტინე დიდმა 321 წ. მოქალაქეთ, მსაჯულთ და ხელოსანთ უქმე დღეებში უნდა დაესვენებიათ. ამ მეფის შემდეგი მბრძანებლებიც განაგრძობდენ ამისთანა კანონების გამოცემას. იმპერატორმა ლომ-ფილოსოფოსმა IX საუკ. ამისთანა კანონებს თვითონ მისცა დამატება ღირს შესანიშნავი. თეატრი, დოღი და სხ. გასართობები აკრძალა მან.

უკრძალავდა რა ამისთანა გართობებს ძველი ეკკლესია წინადადებას აძლევდა ყველა ქრისტიანებს აესრულებიათ უქმე დღეებში საქველ-მოქმედო და სამოწყალო საქმეები. ხალხი მართლაც აძლევდა ქონებრივ შემწეობას ღარიბთ, უმწეოთ, პყრობილთ, ქვრივ-ობლებს და სხ. ვალენტინიანემ კვირა-უქმე დღეებში აკრძალა გადახდევინება როგორც საზოგადოსი, ისე კერძო ვალებისა. იმ დღეებში სიმხიარულის ნიშნად დადებული იყო არა მარხულობა და ტანისამოსის გამოცვლა.

რუსეთის ეკკლსიაც ისე იხსენიებს და დღესასწაულებს კვირა-უქმებს როგორც აღმოსავლეთში იყო. იქაც განსაკუთრებულ საღვთისმსახურო დღედ ითვლებოდა კვირა, იმ დღისთვის „უნდა დაეტოვებიათ ყველას სოფლიური ზრუნვა", ეკკლესიაში უნდა მისულიყვენ სალოცავად. მე XII და XIII საუკუნეებში სამხიარულო და საგანგებო უქმეებში ერი გულს მოდგინეო თვალ-ცრემლიანი მუხლსიყრიდა. აქაც, რუსეთის ეკკლესიაში, პირველი ადგილი ეკავა იმ დღეებში საქველ-მოქმედო სამოწყალო საქმეებსა. ისეთი სასტიკი დადგენილება არ ყოფილა-კი რომ მაინც-და-მაინც სოფლელთ თვის კეთილნებით მუშაობა აღეკრძალათ. მე XII სეუკუნის არავითარ სჯულ-დებულებაში არ არის მისთანა კანონი, რომელშიაც საერო მართებლობა რაიმეს ადგენდეს უქმეებისა და კვირა დღის თაობაზედ. მეფე მიხაილი და ალექსი უკრძალავდენ-კი საერო გასართობებს. აკრძალული იყო 1652 წ. ღვინის გაყიდვა კვირა დღეს. 1658 წ. სამ საათამდე დაღამების ყოველივე მუშაობა და ვაჭრობა აკრძალული იქმნენ. პეტრე დიდმა პირველს ხანებში არამც თუ წინააღმდეგი იყო გასართობებისა და ტყვილ უბრალოდ დროს გატარებისა, არამედ სიმხიარულე და მეჯლისი ძლიერ უყვარდა მას. დაბოლოს-კი იმანაც გამოსცა 1718 წ. ბრძანება, რომელიც ავალებდა ყველა წოდების კაცთა კვირა-უქმეებში ევლოთ ეკკლესიაში წირვა-ლოცვის მოსასმენად. ეკატერინე II-ს დროს კვირა დღეს მუშაობა ისევ დაიწყეს მხოლოდ წირვის დროს ღვინოს ვერ გაყიდდენ. არც თუ პეტრეს შემდეგ სხვა მეფეებს გულმოდგინეობა გამოუჩენიათ კვირა დღის შენახვაზედ. პავლე მეფემ ისევ აღადგინა კვირა დღის პატივისცემა. გლეხებს მუშაობას უკრძალავდა სასტიკად იმ დღეებში იგი. უკანასკნელად 1833 წელს შეადგინეს ეგრედ წოდებული „Сводъ законовъ" რომელიც მე XIV ტომში ეხება კვირა დღეს უქმობას. «კვირა დღეს უნდა შესწყვიტონ მუშაობა და იარონ ეკკლესიაში წირვის მოსასმენად." სახორციელო მთავრობამ ვალად დაიდგინა ღვთის-მსახურების შესრულების დროს დაიცოს მყუდროება როგორც ტაძარში, ისე იმის გარეშე-სასამართლოებსა და სასწავლებლებშიაც აკრძალულია მუშაობა.*) სასმელების დუქნები უნდა დაიკეტონ წირვის გამოსვლამდე.

რაც შეეხება საქართველოს დღესასწაულებში სადიდებელად ღმერთებისა მონაწილეობას იღებდა მრთელი ქართველი ერი. როდესაც ხალხი ბომონისაკენ მიდიოდა, სხვა-და-სხვა საკრავებს უკრავდა და ზედ დამღეროდა. ჩვეულებრივ ხალხის წინ მიდიოდა მეფე-დედოფალი და დიდებულნი, რომელთაც წინ ხალხი ყვავილებს უფენდა. უმთავრეს დღესასწაულად ითვლებოდა არმაზის დღეობა (აგვისტოს 6) არმაზის ტაძრის ეზოში იმართებოდა ლხინი, სმა-ჭამა, ცეკვა და გალობა საერო და სასულიერო სიმღერებისა. ქრისტიანობის მიღების შემდეგაც ქართველი ერი დაიარებოდა ეკკლესიებში კვირა-უქმე დღეებში

*) Православная Богословская Энциклопедія т. III ч. 2 изданіе Лопухина. 1902 г.

ღვთის სადიდებელად. რუის-ურბნისის კრებამ (1103 წ.) შემდეგი დადგენილება გამოსცა სხვათა შორის ამ ჩვეულების შესახებ: „ნუმცა მონასტერთა შინა შექმნა ჲ სავაჭროთა ერის კრებათა, ნუმცა რა სხვა სამოქალაქო და სასოფლო წესი ქმნულ არს მონასტერსაშინა.“ მაშასადამე ჩვენს ერშიაც აუკრძალავთ ყოველივე ისეთი რამე სასოფლო და სამოქალაქო წესი, რომელსაც სარჩულად არ ექმნებოდა ღვთის ვედრება. კვირა-უქმე დღეებში სოფლად მუშაობა არ იყო. წირვა-ლოცვის მოსასმენად ყველა წოდების და ჰასაკის კაცი დაიარებოდა. იყო მისთანა ხანა ჩვენის ქართველების სარწმუნოების ცხოვრებაში როდესაც საერო საეკლესიოს გადააჭარბებდა, რის გამო ეკლესიური ჩვეულებანი, წესები და ადათები ხან ფეხს იცვლიდენ, ხან სრულიად დაიკარგებოდენ. მაგრამ ღმერთს მაინც თითო ოროლა ბნელში სინათლის მაჩვენებები ამა თუ იმ დროს გამოუჩენია და ამით აღუდგენია სარწმუნოება. მაგ. თუმცა XVIII საუკ. სარწმუნოების ზოგიერთი მხარეები ირყეოდენ, მაგრამ კათალიკოსმა ანტონი I აამაღლა და ისევ წესიერ კალაპოტში ჩააყენა თვისი დაუღალავის შრომით სარწმუნოებრივი ქართველ ერთა ცხოვრება. მან უმეტესი ყურად-ღება მიაქცია კვირა-უქმე დღეების დაცვაში სხვათა შორის.

დასავლეთ ევროპაში ხან-დისხან თუმცა მტკიცედ არ იყო დაცული კითხვა შესახებ კვირა-უქმეების შენახვისა მაგრამ უკანასკნელად იქაც სასტიკი ყურად-ღება იქმნა მიქცეული ამაზედ. საფრანგეთში 11 მარტს 1891 წ. შესდგა კვირა დღის შესვენების ლიგა. მოვაჭრეებმა განიზრახეს მუშაობის შეჩერება კვირა დღეს და რკინის გზის ამხანაგობათ—მატარებლების შეჩერება. ავსტრიაშიაც მიაქციეს კვირა დღეს ყურად-ღება. 1885 წელს ეპისკოპოსებმა გამოსცეს ეპისტოლე, რომელშიაც უმარტავდენ ერსა პატივი ეცათ კვირა დღისათვის.

ახლა თვალი გადავავლოთ და გავიგოთ როგორ სრულდება ჩვენში კვირა-უქმე დღეები? კვირა-უქმე დღეებში ჩვენში ჩვენ ვამჩნევთ ორს უკიდურესობას. არიან ისეთები, რომლებიც ნამეტანს სასტიკობას იჩენენ კვირა-უქმე დღეებში. ზოგიერთები ხელებ-გულზე დაკრეფილნი სხედან და სრულიად არ გაიძრევენ ხელს არაფერზე. განა არ შეიძლება ჩვენი კერძო მიუცილებელი საქმეები გავაკეთოთ იმ დღეს ისე კი, რომ ზარალი არ მივსცეთ ჩვენს სულს, ე. ი. უკეთუ შევასრულებთ მათ ლოცვით და ვედრებით. ზოგიერთს უკიდურეს შემთხვევებში ამ ნაირი საქმიანობა თუ შეიძლება, თორემ წინაალმდეგ შემთხვევაში გამოვა კვირა-უქმისადმი არა პატივის-ცემა. უქმობა იმაში უნდა მდგომარეობდეს რომ უპირველესად სულით და გულით კიუქმოთ ეს დღე. ურიებს რომ მივბაძოთ ისიც არ ივარგებს. არიან ჩვენში ისეთი უქმეების შემნახველნი, რომელთათვის არსად არც დაწერილია ტ არც გაგონილა უქმედ. ავიღოთ პარასკევი დღე. ამ დღეს ბევრს ადგილას ჩვენში არ მუშაობენ, „მიწაობა“ ყოვლად აკრძალულია. სულით და გულით კერძოთ მე ვცდილობ ამ დღის არა გაუქმებას, მაგრამ არასოდეს არ მოხერხდა. ეს უქმე ალბათ თათრების გავლენის ქვეშ რომ ვიყავით მაშინდელი შამოღებულია და ისე მაგრად აქვს გადგმული ფესვი მას ხალხში, რომ მის მოსპობას კაი ხანი მოუნდება. გაგიგონია ზოგიერთებს უცხო ქვეყნებში ხუთშაბათობით მოსწავლეებს ასვენებენ და იმ დღეს არ ასწავლიანო, მაგრამ ეს პარასკევი რა მოხელეა? ავიღოთ კიდევ სხვა უქმეები; კოხინჯრობა, ჭაბუკობა, 7 და 8 მაისი და სხვანი. ამ დღეებში გარდა იმისა რომ ხალხი ტყვილაა, აგრეთვე კერპთ-თაყვანის მცემლობას ეძლევა და ნამეტანის ხარჯებით და ღვინის სმით ჯიბესაც იცარიელებს და ხშირად უსიამოვნებასაც ჩამოაგდებს ერთმანეთს შორის...

მეორე უკიდურესობა უქმობაში გამოიხატება მით, რომ კვირა-უქმე დღეს წირვა ლოცვას გაურბიან და სამიკიტნოებში აღამებენ ლანძღვა-გინება და ლოთობაში. ასეც შეიძლება: იმ დღეს გასწიოს კაცმა ტყეში ხარ-ურმით, დატვირთოს სხვისი ნაამაგარ-ნაწვარ-ნადაგი ხე ტყის მასალით და სახლში დაბრუნდეს. უქმესაც სტეხს, ხარებს აწვალებს, არ ასვენებს და ქურდობს.

ყველაზე უფრო სამარცხვინო არის პარასკევის გაუქმება, წელიწადში პარასკევი მოდის 52, მაშასადამე ამ დენი დღეები გამცდარია, როდესაც შეიძლება მისთანა საქმე უყურებდეს იმ დღისათვის მუშაკაცს, რომ იმ დღეს ერთი მანეთი ღირდეს იგი. ამისთანა პარასკევებს და სხვა დღეების ხალხისაგან გამოგონილებით, ჩვენში ყველა მხარეები შეიცვალ-შეიბღალა. სარწმუნოების მხრით თუ ავიღებთ არ

შეჰფერის ქრისტიანეს თათრის პარასკევის ვაუქმება, ეკონომიურის მხრითაც კიდევ დაქვეითდება კაცი უმუშევრობით, როდესაც უიმისოთ შევიწროვდა მამული, გამოიფიტა ნიადაგი და ნაყოფს ნაკლებათ იძლევა. ამ დაბოლო დროს ხშირად განმრავლებულის შიმშილობისა გამო რუსეთში მიაქციეს ყურა-დღება ამ ხალხისაგან შემოღებულს უქმეებს. შესდგა I წ. Высочайше учрежденное особое совѣщаніе о нуждахъ сельско-хозяйственной промышленносси. 23 ნოემბერს 1902 წ. და 11 იანვარს 1903 წ. რომელმაც დასკვნა: ეთხოვოს სინოდის ობერ-პროკურორს მიიქცეს წინადადებით უწ. სინოდისადმი, რომ უწმიდესმა სინოდმა დაავალოს ეპისკოპოსების მეოხებით სოფლის სამღვდელოებას: განუმარტონ მრევლთ ჭეშმარიტი მნიშვნელობა უქმეებისა და თანახმად სინოდის განკარგულებისა 10 ივნისს 1867 წ. ეცადონ საცა შეიძლება მიაჩვიონ ხალხი შრომასაო, ააცილონ მათ დამღუპველი უქმის-მოყვარეობა, აგრეთვე ხალხისაგან შემოღებულის უქმეების მოსპობაო. ვინ არ იცის თუ რამდენად ჰღუპავს ჩვენ ხალხს „დღეობის» გადახდა? წლის განმავლობაში რომ ერთ ბოთლი ღვინო არ დალიოს იმ დღისთვინ 5 ჩაფი ღვინო მაინც უნდა იყიდოს კაცმა, ახლა მისი ხორცი და პური. რაც უნდა პატარა სოფელი იყოს ღვინოსა და სხვა ხარჯებში 1000 მანეთი მაინც დაეხარჯება. ახლა რამდენი ლანძღვა-გინება, ჩხა-ჩუხი და კვლაც-კი. რამდენი კაი საქმე შეიძლებოდა ამდენის ხარჯის ფულით გაკეთებულიყო სოფლად!!?

ხალხთან ახლოს ვინ სდგას? ისევ მისი მოძღვარი. ყოველისფერს შენ გაკისრებენ მამაო, მაგრამ ჯერ კიდევ იდეალამდე შორს ხარ. სამწუხაროდ უქმიანობაში ხანდის-ხან უთანხმოებაც-კი ჩამოვარდება ხოლმე მოძღვრებს შორის. ერთი რომ აუქმებინებს ხალხს, მეორე გაიძახის: „დღეს რა უქმეაო!?“ ამის გამოცნობა თუ რომელი უქმეა და რა ნაირი, დიდი, თუ პატარა, კალენდრის და ჟამნის შემწეობით ყველას შეუძლია. ამას რომ გავიგებთ უნდა განემარტოს ხალხს როგორ შეიძლება იმ დღის გატარება: ეკკლესიაზედ სიარულით და მოძღვრების მოსმენით. რამდენი კარგი ნაწერებია სარწმუნოებრივ შინაარსისა და სამეცნიეროცა. ამ წიგნების მეოხებით შეიძლება გაემართოს ხალხს საუბარი უქმის შენახვის თაობაზედაც და ცხოვრების როგორც სულიერის ისე საეროსი უკეთ მოწყობაზედაც. ეს მით უფრო სამდროო, ეს საშვალება, რომ დღეს აქ-იქ ლიბერალებმა იჩინეს თავი თვისის ახალის შეხედულებით სარწმუნოებაზედ.

მღ. კ. ანთაძე.

კიევის სასულიერო აკადემიის რექტორი ყ-დ სამღვდელო. პლატონი ქუთაისში.

რვა ივლისს ქუთაისში მობრძანდა სტუმრად კიევის აკადემიის რექტორი ყოვლად სამღვდელო პლატონი იმერეთის ეპისკოპოსს ლეონიდესთან. მეორე დღეს ყ-დ სამღვდელო პლატონი ერთად ყოვლად სამღვდელო ლეონიდითურთ წაბრძანდენ გელათის მონასტერში დასათვალიერებლად.

გელათის მონასტერში ყოვლად სამღვდელოთ დაუხვდა მთელი კრებული, უგალობეს ღირსაარსი. ხატების მთხვევის შემდეგ ყოვლად სამღვდელო პლატონი მიბრძანდა პირდაპირ ხახულის ღვთისმშობლის ხატთან. მთელ საათზედ მეტი გავიდა და ყოვლად სამღ. პლატონი კიდევ ვერ შორდებოდა ხატსა. მოაგონეს, დღეს წაბრძანებას აპირებთ და სხვა ნივთებს ველარ დაათვალიერებთო. „თუნდაც ხუთი დღე დავრჩე, მაინც კარგად უნდა დავათვალიეროო. რა მდიდარი თემაა აკადემიის სტუდენტებისთვის და ხელს-კი არავინა ჰკიდებსო, ჯერ არსად მინახავს ამის აღწერაო“.*)

სწორედ შუადღის ორი საათი იყო როცა სტუმარ-მასპინძელი დაბრუნდნენ ქუთაისს. აქ ყოვლად სამღვდელო ლეონიდს სადილი ჰქონდა მომზადებული. სადილის დროს ბევრი რამ უსურვა ყოვლად სამღვდელო პლატონმა ყოვლად სამღვდელო ლეონიდს, საქართველოს და მის ახალთაობას. განსაკუთრებით ახალთაობას უსურვა ყოვლად სამღვდელო პლატონმა, რომ მეტი შნო და უნარი გამოეჩინოს თავის მამულის სიძველეთა შესწავლაში. ყოვლად სამღვდელო ლეონიდმა სთხოვა ყოვლად სამღვდელო პლატონს მიაქციოს ყურადღება თავის აკადემიაში ქართველ ახალგაზრდობას და გამოზარდოს საქართველოს კარგი მამულიშვილები. ყოვლად სამღვდელო პლატონმა სინანული გამოამცხადა, რომ აკადემიაში, ცოტაა ქართველი სტუდენტი და ბევრის გაკეთება არ შეუძლიანთო.

მართალია ჩვენ, ქართველები ტკბილი სიტყვითაც ალტაცებაში მივდივართ, დიდი ნუგეში გვეწვეთება გულში და, თუ სტუმარმა შეგვაქო, მეტი

---

*) რომელი სტუდენტი შესძლებს ამ ხატის აღწერას? მრავალმა სტუდენტმა არც-კი იცის ხახულის ღვთისმშობლის ხატის არსებობა...

რედ.

ქათინაური გვითხრა, ხომ ცას ვეწევით, მაგრამ ყოვლად სამღვდელო პლატონი სულ სხვა შთაბეჭდილებას ახდენს ადამიანზედ. იგი ლაპარაკში პირდაპირი ტ მოურიდებელია, არ უყვარს ქათინაურები, ნაკლულევანებას პირდაპირ ამბობს, შეხედულება დროს შესაფერი, ფხიზელი, ჭეშმარიტი, ადამიანური, დიდად დაკვირვებული და თავდაჭერილი კაცი უნდა იყოს, ამასთანავე ღრმად განათლებული. იმედია ამისთანა კაცი პოლიტიკას არ გამოუდგება, ჩვენ ქართველებზედ ნამდვილ შეხედულობას იქონიებს, ადამიანებად ჩაგვაგდებს და ჩვენ შვილებს ჩაუნერგავს მამულის სიყვარულს, ურომლისოდაც ეს შვილები არც ჩვენ გამოგვადგებიან და არც ჩვენს მფარველად მოწოდებულს რუსეთის ჰუმანურ სახელმწიფოს.*) („ივერია“)

წესი

რომის პაპთა ადმორჩევისა

პაპს ირჩევენ კარდინალები. რამდენსამე საუკუნეს პაპს ირჩევდა რომის სამღვდელოება. ერიც თანამონაწილეობას იღებდა, მაგრამ დროთა განმავლობის შემდეგ პაპის ალმორჩევა განსაკუთრებით კარდინალებს მიენდო.

კარდინალთა რიცხვი არის სამოც-და-ათი.

სიქსტმა V 1586 წ. გარდასწყვიტა, რომ კარდინალთა რიცხვი იყოს სამოც-და-ათი. ამათში ექვსი კარდინალი ეპისკოპოსია; ორმოც-და-ათი კარდინალი—მღვდელი; თოთხმეტი-კი დიაკონი.

როდესაც პაპი მძიმედ ავად არის, მოიწვევს ყველა თანამხლებელ კარდინალს და მაშინვე აღიარებს თავის სარწმუნოებას, „მწამს“, დაასაჩუქრებს, ვისაც უნდა და სთხოვს ილოცონ მისთვის. კარდინალ ანუ საქრისტიერ პრელატისაგან მიიღებს წმინდა ზიარებას და დიდ საალსარებო მამისაგან სრულ შენდობას; თუ მისმა მდგომარეობამ ნება მისცა, მაშინვე მოიწვევს წმინდა კრებას და მის წინაშე განიმეორებს თავის სარწმუნოების აღვიარებას და მიანდობს მათ ეკლესიასა ღვთისასა და ვედრებით, რომ იზრუნონ და ალმოირჩიონ ერთი კეთილი მწყემსი თავად ეკლესიისა. რომელმაც მწყსოს ცხოვარნი და კრავნი. მღვდელი საქრისტიერი არას დროს არ სტოვებს სულთ-მობრძავს პაპს.

ბოლოს ზეთის ცხება შესრულდება და სულთ-ბრძოლის ლოცვებს კითხულობენ და ერთ ნაწილს ვნების სახარებისას. როდესაც პაპი სულს მიაბარებს ღმერთს, მაშინადვე კარდინალ-კამერლენგი სოსნის ფრად შემოსილი, შევა ახალ მიცვალებულ პაპთან, რომლის გვამი თეთრი სუდარითაა შებურვილი. კარდინალი მუხლს მოიყრის, მოკლედ ილოცავს და ადგება; მსახურნი ოთახისა ახდიან პაპს პირისახეს. კამერლენგი მიუახლოვდება ცხედარს და სამჯერ შეახებს ვერცხლის კვერს თავზედ და მოუწოდებს თავის სახელით; შემდეგ მობრუნდება თანადამსწრეთადმი და ეტყვის მკაფიო ხმით: “პაპი ჭეშმარიტად მიიცვალაო“.

მაშინვე წმინდა კრება შესდგება ალმოსარჩევად პაპისა. კარდინალები, შეკრებილნი პაპის ალმოსარჩევლად, მიიღებენ სხვა სახელს. ამ კრებას ეწოდება კონკლავი (თათბირი). რამდენიც კარდინალია, იმდენი სხვა-და-სხვა დარბაზ-ბჭობაა. თვითეულს კარდინალს თანა ჰყავს ან ერთი ან მრავალი ეკლესიის მსახური, რომელთაც ეწოდებათ მოთათბირენი (კონკლავისტნი).

ათის დღის შემდეგ პაპის სიკვდილისა, კარდინალები შეიკრიბებიან ვატიკანის ეკლესიაში, სადაც სულის წმინდის წირვასა სწირავს უფროსი კარდინალი. კვალად ერთი პრელატი ამბიონიდგან წარმოსთქვამს ლათინურად სიტყვას და ურჩევს კარდინალებს მალე და სრულის კანონიერებით ალმორჩევა მოხდეს. სთხოვს დაასახელონ ღირსეულნი უწმინდესის მოსაყდრობისა ამ ქვეყნად, იესო ქრისტესი.

ნასადილევს კარდინალები შეიკრიბებიან წმიდა სილიბისტრეს ეკლესიაში. იქიდგან ლიტანიით წავლენ საბჭოს პალატაში, სადაც კონკლავია.

საღამოზედ ყველა უცხოს დაითხოვენ პაპის ალმორჩევამდე. უცხოსა და გარეშესთან ამომრჩეველებმა არავითარი ურთიერთობა არ უნდა იქონიონ.

მეორე დღეს, საათის რვაზე, დარეკავენ პირველ ზარს, მერე მეორე ზარს ნახევარ საათს შემდეგ. მესამეს კიდევ ნახევარ საათს შემდეგ. ზარის დარეკის დროს ყველა კარდინალებს ჩამოუვლიან და ეტვვიან სენაკის კარებიდან: ad capellam Domini

---

*) განა ფიქრობს ვინმე ამაზე?

რედ.

(სახლისად უფლისა), ესე იგი კენჭის საყრელად შეიკრიბენით საყდარშიო. კარდინალები შევლენ წმინდა პავლეს კაპლიცაში, მოისმენენ წმინდა წირვას და, ცოტა ხნის შემდეგ, განიხილვენ ხმების რიცხვსა და ვისაც მომეტებული ხმა ამოუვიდა, იგი იქნება არჩეული პაპად. უმფროსი კარდინალი წავა და პაპად არჩეულს შეეკითხება, გსურს ნებით იტვირთო ეს ვალდებულება თუ არაო. დათანხმდება თუ არა, შეეკითხება, რა სახელი გინდა დაირქვაო. მერმე ორი კარდინალი —დიაკვანი ტრაპეზს უკან მიიყვანენ და შემოსამენ თეთრად; მიბრძანდება შუა ტრაპეზზედ და ყველა კარდინალი მუხლს მოუყრის. მუხლ-მოდრეკილნი ფეხსა და ხელზედ ემთხვევიან: ყველანი ადგებიან და მშვიდობის ამბორს უყოფენ პაპს. მერმე კამერლენგი-კარდინალი მიართმევს პაპს ერთ ბეჭედს მესათხევლისას (მეთევზისას), რომელზედაც ახალი პაპის სახელი აღიბეჭდება. კვალად პირველი კარდინალი—დიაკვანი ერს გამოუცხადებს: „სასიხარულო ამბავს მოგახსენებთ, რომელმაც დიდი სიხარული უნდა ჰბადოს თქვენს შორის. გვივის პაპად უუმაღლესი და უუწმინდესი უფალი (სახელი), რომელმაც მიიღო ახალი სახელად

ასეთია წესი პაპთა არჩევისა. სულ იყო დღემდე 271 პაპი. მათშორის პირველი პეტრე მოციქული, დამაარსებელი რომის ეკკლესიისა. ამის მოადგილე იყო წმ. ლინუს 69 წ. ქრისტეს შემდეგ. პაპთა შორის შესანიშნავი იყო წმ. სილიბისტრო I, რომელმაც წერილი მოსწერა წმინდა ნინოს. ქართველთა განმანათლებელსა, ლეონ დიდი I (440 წ. არჩეული), გრიგოლ დიდი I 590 წ., რომელმაც მოსწერა წერილი საქართველოს კათალიკოზს კირიონს, ივერიის ეპისკოპოსთა და სამღვდელოებას მეორედ მონათვლის შეუძლებლობის შესახებ, ნიკოლოზ დიდი I (858 წ.) ჰონორიო II (1124 წ.), ევგენიუს III 1145 წ.), რომელმაც თამარს მოსწერა წერილი, გრიგოლ IX (1237 წ.), ურბანო VIII (1623 წ.). ამ პაპს ხშირი მიწერ-მოწერა ჰქონდა ჩვენს მეფეებთან, ინოკენტი XIII (1724 წ.), რომლის დროსაც საბა სულხან ორბელიანი გაიგზავნა რომში მეფის ელჩად. („ივერია")

სომხის კათოლიკეთა სურვილი.

ორას სამოც-და-ათ წელიწადზე მეტია, რაც კავკასიის სომხის კათოლიკენი განიგებოდნენ მშვიდად და წყნარად ახალციხის სასულიერო მმართველობის ხელმძღვანელობით.

ეს გამგეობა, რომელიც ნეტარ-ხსენებულის შახულიანცის დროინდელია და დამტკიცებულია რომის პაპისა და რუსის მთავრობის მხრივ, ჰსწყვეტდა სომხის კათოლიკეთა საეკლესიო დავებსა, ამზადებდა და წრთვნიდა დიაკვნებსა და მთავრებსა და გზავნიდა სარატოვს, რათა იქ მჯდომის ლათინთ ეპისკოპოსის ხელთაგან მიეღო სასულიერო წოდება.

იქ ხელდასხმის წესი სრულდებოდა ლათინურის ენით, რომელიც სრულიად გაუგებარი იყო სომხის დიაკვნისათვის. ამ ჟამამდეც ეგრეა საქმე. სამწუხარო ამბავია, მაგრამ სხვა ღონე არ არის, რადგანაც დღემდე კავკასიას არა აქვს თავისი საეპისკოპოსო კათედრა, არა ჰყავს სომხის კათოლიკე ეპისკოპოსი.

მაგრამ, თითქო ეს არ ყოფილიყოს საკმაო, ეხლა სალაპარაკო გამხდარა უფრო სამწუხარო საქმე. აი თუ როგორ:

ქართულად მოლაპარაკე კათოლიკენი, რომელნიც კერძო ნებაყოფლობით თავიანთ თავს ქართველ რომის კათოლიკეს უწოდებენ, უკანასკნელ დროს უგულებელ ყოფით ეკიდებიან ახალციხის სასულიერო მმართველობას, თავიანთ შვილებს სასწავლებლად ჰგზავნიან ლათინის სემინარიაში და სარატოვის ახლად დამტკიცებულის ეპისკოპოსისაგან გამხნევებულნი ცდილობენ ეკკლესიებიდგან განაძეონ სომხური და მის მაგიერ შემოიღონ ლათინური ღვთის მსახურება...

მაგრამ ეს მეშფოთრები ამაოდ სცდილობენ, გული აუმღვრიონ სომხის კათოლიკებს, ამაოდ სცდილობენ მათ დას-დასებად დაყოფას. სომხის კათოლიკენი ვერასოდეს განეყოფიან თავიანთ დედაენას და არც დასთანხმდებიან თავიანთ ეკლესიებში გაუგებარის ლათინურის ღვთის-მსახურების ნება დართონ.

პირიქით, ყოველნაირად უნდა ეცადონ და განახორციელონ თავიანთი სურვილი, რომელსაც ეტრფიან დიდი ხანია.

ეს სურვილია —კავკასიაში იყოლიონ სომხის კათოლიკე ეპისკოპოსი, რომელსაც, როგორც უმა-

ღლეს უფროს, შეეძლოს ხელდასხმის შესრულება და საეკლესიო მორიგი საქმეების მართვა.

კავკასიაში საკუთარი საეპისკოპოსო კათედრის დამტკიცების შემდეგ მოსახერხებელი იქნებოდა საკუთარის სემინარიის დაფუძნებაც სომხის კათოლიკეთათვის. აქ გამოიზრდებოდნენ კათოლიკე სასულიერო პირნი, აქ გაიცნობდნენ დედა-ენას საეკლესიო წესებთან ერთად და მით საფანელი ხელთ ექმნებოდათ სამსახურებლად თავიანთი მაღალის მოწოდებისათვის.

მართალია, ადრეც იყო გამოთქმული ასეთი სურვილი, მაგრამ უდაბნოში მღაღადებელის ხმად დარჩა. ხოლო ეხლა იგი ჟამის მომწიფებული მოთხოვნილებად გამხდარა, გადაუდებელ და მორიგ მოთხოვნილებად...

სასურველია, ეხლა მაინც დასცეს —დასტური რომის უმაღლესმა მთავრობამ ამ მოთხოვნილებას ⁄ განახორციელოს კავკასიის სომხის კათოლიკეთა გულითადი სურვილი. (ივერია)

საზარელი მკვლელობა. — ძველის ჩვეულებით ტირილი.

ქორწინებისა ან სხვა რაიმე მხიარულების დროს იმერლები დაიარაღებულნი ვართ: ხანჯლით, ხმლით, თოფით, რევოლვერით, დამბაჩით და ერთად-ერთი ზარბაზანი-ღა გვაკლია.*) ეს დღე თითქო საბრძოლველი დღე იყოს, თითქო ამ დღეს უნდა გადაწყდეს ჩვენი ბედ-იღბალი. ქორწინების შემდეგ იწყება ტაძრის გალავანში შეუწყვეტელი სროლა, თითქო დიდი შესამჩნევი მოვლენა რამ მოხდა საქართველოში, თითქო უკულმართობა, მტარვალობა ძირს დასცესო. ასეთ ამბებს, რაღა თქმა უნდა, ძალიან უწყობს ხელს ნუნა. ხშირად მტერი მოყვარედ ეჩვენება და მოყვარე—მტრად. სწორედ ამიტომაც ქორწინებასა და დღესასწაულებზე ხშირად ხდება ხოლმე მკვლელობა; ხშირად სჭრიან და სჩეხენ ერთმანეთს. ეხლახან ერთმა ოჯახმა შვილის გამაბედნიერებელი ქორწინება გადაიხადა. ჯვრის დაწერის შემდეგ სახლში დაბრუნებულმა მაყრებმა გამართეს სროლა. ერთმა ნუნუასაგან გაბრუებულმა მაყარმაც მოისუა თოფის გასროლა, მაგრამ ღვინისაგან ჭკუა-დაბნეულმა მაყარმა იქით აქნევინა თოფს თავი, საითაც ხალხი იყო, გაისროლა თოფი და საცოდავ ახალგაზდა გასათხოვარ ქალს გულში დააჯახა. ქალმა რამდენსამე ხნის შემდეგ სული განუტევა.

ხონში ერთხანად ტირილს ბოლო ეღებოდა, ველარ ვხედავდი სატირლებში მდიდრულად გამართულ სუფრებს, რომელსაც ირგლივ უსხდნენ მეხევნი და ხშირად, უზომოდ მთვრალნი, შესანდობელის ნაცვლად მკვდრის სადღეგრძელოს სვამდნენ. ალარ ვხედავდი ყველა ამას და მეგონა ტირილს ბოლო ეღება-მეთქი, მაგრამ იმედი გამიცრუვდა. ეხლა ისევ ყველა ებღაუჭება ძველ ჩვეულებას. ამ უკანასკნელ ხანებში, სადაც კი ტირილი იყო, ყველგან ძველის წესით, ძველის ჩვეულებით. ზოგიერთებს ჰგონიათ. თუ ძველებურის ზეიმით არ მოახდინეს მიცვალებულის ტირილი, ამით შეურაცხყოფილი იქნება მიცვალებული!.. („ცნ. ფურ.“)

*) მერმე რისთვის? ერთი ქურდი თუ მოვიდა ვინმე სოფელში მაშინ ეს ჩვენი შეიარაღებული ბატონები შიშით გარეთ თავს ვერ გამოყოფენ! რედ.

ჟურნალ-გაზეთებიდან.

„კავკასიის პოლიტეხნიკუმ“-ის შესახებ „ბირჟ. ვედომოსტ“-ი სწერს:

როგორც გაზეთები სწერენ, ამა წლის შემოდგომაზე გადასწყდება საქმე კავკასიის პოლიტეხნიკუმის შესახებ. კარგა ხანია ეს საქმე ძილს უფრთხობს კავკასიელებს. კარგად ჰგრძნობენ კავკასიელნი, რომ უნივერსიტეტი სჯობია პოლიტეხნიკუმს, ამიტომ წინად უნივერსიტეტის დაარსებას ოცნებობდნენ. მაგრამ... ოცნება გაჰქრა. კავკასიელნი დარწმუნდნენ, რომ უნივერსიტეტს მალე ვერ ეღირსებიან. მაშინ პოლიტეხნიკუმზე ჩამოაგდეს ლაპარაკი. იმის დაარსება უფრო ადვილ საქმედ მიაჩნდათ. კავკასიელნი მხნედ, მედგრად შეუდგნენ საქმეს. ყველა წოდებამ, ყველა ქალაქმა ერთხმად განაცხადეს, რომ კავკასიისთვის უმაღლესი სასწავლებელია საჭიროო. ყოველ მხრიდან შემოწირულება მოდიოდა. სწირავდნენ ქალაქები, თავად-აზნაურობა, მრეწველნი ვაჭარნი. ბოლოს თითქმის მილიონი შესწირა ნავთის მწარმოებელმა მანთაშევმა- ფულის მხრივ ამ რიგად დაბრკოლება არ იყო.

დარჩა პრინციპიალური მხარე. ყველასათვის აშკარაა, რომ კავკასია დიდ ხანს იგივე იქნება, რაც ეხლაა—მშვენიერი, საუცხოო და მდიდარი, მაგრამ

ამავე დროს მკვდარ, სიცოცხლე მოკლებულ, მოუხეშავ და უვიც კუთხედ. რუსეთი წინ მიდის და უვიცმა განაპირა ადგილებმა უნდა შეაჩერონ თავისუფლად განვითარება რუსეთის ხალხისა.

ბევრს ჰფიქრობენ ეხლა განაპირა ადგილების „გარუსების“ შესახებ. ამ მხრივ კავკასიაზე ლაპარაკიც-კი მეტია. აიღეთ კავკასიის ადგილობრივ მკვიდრთა ინტელიგენცია და დაინახავთ, რომ იგი სრულიად გარუსებულია. ამ ინტელიგენციამ კარგა იცის რუსული ენა, იცნობს რუსულ ლიტერატურას, უყვარს იგი და, რაც უმთავრესია, ესმის ეს ლიტერატურა. შეადარეთ ადგილობრივი ინტელიგენცია შიდა რუსეთის რომელსამე ქალაქის ინტელიგენციას. ვერავითარს განსხვავებას ვერა ჰნახავთ: ერთი და იგივე გონებრივი ინტერესები, ერთი და იგივე შეხედულება. ვინ ან რამ „გაარუსა“ კავკასიის ადგილობრივი მკვიდრნი? რაღა თქმა უნდა, არა იმ პოლიტიკოსმა პუბლიცისტებმა, რომელნიც ყველგან და ყველაფერში ღალატსა ჰხედავენ. განაპირა ადგილების გარუსება რუსეთის ლიტერატურისა და მეცნიერების საქმეა. ლიტერატურა და მეცნიერება ზრდიდა ადგილობრივ ინტელიგენციას, ასწავლიდა — როგორ უნდა იფიქროს რუსულად. ეთმა ლექსმა პუშკინის პოემიდან, ერთმა გვერდმა ტურგენევისა ან ტოლსტოის რომანიდან ათასჯერ მეტი გააკეთა, ვიდრე მოძალეობით აღსავსე გაზეთის წერილების მთელმა ტომმა. ასეთი წერილები მთლად მტრობასა დ სიძულვილს სთესენ.

რაღა თქმა უნდა, მეცნიერაბა თავისუფალი უნდა იყოს. პოლიტიკა არ უნდა ამოუყენონ გვერდში მეცნიერებას. მეცნიერებას არ ეთქმის: „გარუსებას“ მიჰყავ ხელიო! სისულელე, სიველურე იქნებოდა ესა. მაგრამ, ვიმეორებ, მეცნიერება თავის-თავად, სხვათა უბრძანებლად ათანასწორებს ხალხს, აახლოვებს, მეგობრებად ჰხდის. ამიტომ ვამბობ: უმაღლესი სასწავლებელი საჭიროა კავკასიაში პოლიტიკურადაც-კი. საოცარია მხოლოდ, როგორ ვერ მიჰხვდნენ ამას ის კავკასიელი პუბლიცისტები, რომელნიც სიმძულვარით არიან აღსავსენი. უნივერსიტეტი კავკასიაში ისეთი ელემენტი, ისე დამაკავშირებელი იქნება რუსეთისა და კავკასიისა, რომელსაც ვერავითარი ისტორიული ქარიშხალი ვერ გაანადგურებს. თუ ეხლა ადგილობრივი ინტელიგენცია თითქმის იგივე რუსის ინტელიგენცია, უმაღლესს სასწავლებლის დაარსების შემდეგ გაჰქრება უკანასკნელი ეროვნული განსხვავებაც-კი. მეცნიერება გაურბის ნაციონალიზმს. იმას საქმე მხოლოდ ადამიანებთან აქვს.. ჭეშმარიტება ერთია ყველასთვის, იგი ყველას აახლოვებს.

*
* *

ბერლინიდან იუწყებიან: თუმცა ოფიციალურად უარ ჰყოფენ, მრავალთაგან, რომელნიც ყოვლადის ნდობის ღირსნი არიან, მოვიდა ცნობანი რომ კვლავ მეტის ძლიერებით იფეთქა აჯანყებამ მაკედონიაში. ოსმალეთის მთავრობამ მიჰმართა დიდთა სახელმწიფოთ და აუწყა საქმეთა დღევანდელი მდგომარეობა, თან განსაკუთრებით აღნიშნა, რომ ყოველივე შეავასრულე, რაც ძალ-მედვაო, თუმცა მრავალი დაბრკოლება გადაგვეღობა წინაო. მთავრობა ამბობს აგრეღვე, კვლავაც ასე ვფიქრობ ვიმოქმედო, მაგრამ საქმეთა ვითარება ძალიან გაძნელებულიაო.—იმავე გაზეთს აუწყებენ სოფიიდგან, რომ, როგორც ერთხმად ამბები მოდის აჯანყება მაკედონიაში ხელ-ახლად ძლიერდებაო.

*
* *

პაპის ლეონ მე-XIII-ე გარდაცვალების შემდეგ კათოლიკე ეკკლესიის მმართველობა კარდინალ-კამერლინგის ორელიას ხელში გადავიდა. ორელიას სამი სხვა კარდინალიც ეხმარება: სერაფიონ ვანუტელი, დი-პიტერო და მაკი. თავდაპირველად ორელიამ უცხოეთის ელჩებს ვატიკანში და პაპის ელჩებს უცხოეთში ოფიციალურად შეატყობინა პაპის გარდაცვალების ამბავი. სტატს სეკრეტარი კარდინალი რამპოლა იმავე დღეს სტატს-სეკრეტარის თანამდებობიდან გადადგა, რადგან უცხოეთის საქმეთა ხელმძღვანელი ეხლა თითონ კარდინალი ორელია იქრება. 8 ივლისს, დილით, კარდინალთა კოლეგიამ პირველი სხდომა გამართა. კოლეგიაში ამ ჟამად სულ 63 წევრია; ამათში 38 იტალიელია და 25 უცხოელი (8—საფრანგეთიდან, 5—ესპანიიდან, 5—ავსტრო-ჰუნგრეთიდან, 3—გერმანიიდან, 1—ბელგიიდან, 1—ირლანდიიდან, 1—ამარიკიდან და 1—ავსტრალიიდან. პაპის ასარჩევად, ალბად, ყველა კარდინალი შეიკრიბება, მარანისა (ავსტრალიიდან) და იქნება ლანჟენიეს (საფრანგეთიდან) გარდა, მაგრამ ამ ჟამად კარდინალთა უმეტესობა ჯერ არ მოსულა რომში და პირველ სხდომას მხოლოდ 28 კარდინალი დაესწრო. რადგან ლეონ XIII არჩევნის თაობაზე არაფერი განკარგულება არ მოუხდენია, ამიტომ კარდინალებმა გადასწყვიტეს, რომ არჩევნები ჩვეულებრივის წესით მოხდეს რომში.

სხდომის შემდეგ კარდინალებმა მიიღეს ავსტრო-ჰუნგრეთისა, საფრანგეთისა და პორტუგალიის ელჩები, რომელთაც თავიანთ მთავრობის სახელით სამძიმარი გამოუცხადეს პაპის გარდაცვალების გამო.

9 ივლისს კარდინალები შეიკრიბნენ და ყველამ ფიცი მიიღო. ფიცის შემდეგ, ლეონ მე-XIII-ს პოლიტიკური ანდერძი გახსნეს და წაიკითხეს. ანდერძის უმთავრეს ამსრულებლად რამპოლა ყოფილა დანიშნული. ანდერძი ორის წლის წინად შეუდგენია განსვენებულ პაპს და საკუთარის ხელით დაუწერია. ამავე დროს პაპის კერძო ანდერძი გახსნეს; ამ ანდერძით პაპს მთელი თავისი ქონება ეკლესიისათვის დაუტოვებია.

რომიდან იწერებიან: პაპის არჩევანი 19 ივლისს დაიწყება. კარდინალები თან და თან იკრიბებიან. ხმა დადის, დიდ სახელმწიფოებს გადაუწყვეტიათ, პაპის არჩევანში ნუ გავერევითო.*) თითონ კარდინალებსაც დაუდგენიათ: რაკი პაპს საერო ხელმწიფება აღარ აქვს, სახელმწიფოებსაც უფლება არა აქვთ პაპის არჩევანში რამენაირად გაერევნენო, ამიტომ თუ რომელიმე დიდი სახელმწიფო რომელისამე კანდიდატის არჩევას არ დასთანხმდება, ყურადღებას ნუ მივაქცევთო.

საფრანგეთის პირველი მინისტრი კომბი იმ აზრისაა, რომ საფრანგეთის მთავრობა არ უნდა ერეოდეს პაპის არჩევნაში, მაგრამ გარეშე საქმეთა მინისტრი დელკასე-კი სხვა თვალით უყურებს საქმეს. დელკასემ კომბიც დაითანხმა და ეხლა საფრანგეთის მთავრობამ გააგებინა კარდინალების კრებას, ისეთი კაცი უნდა აირჩიოთ პაპად, რომ განსვენებულ ლეონ მე-XIII სავით მორიგებისა და შეთანხმების პოლიტიკას ადგესო, თორემ, წინაალმდეგ შემთხვევაში, საფრანგეთის რესპუბლიკასა და ვატიკანს შუა დიდი გახეთქილება მოხდებაო. მართალია, საფრანგეთი არც ერთის კანდიდატის წინაალმდეგი არაა, მაგრამ კარდინალებს მაინც გააგებინა, რომ საფრანგეთს ყველაზე ძლიერ რამპოლას არჩევა მოუვა ჭკუაშიო. პარიზის გაზეთების რომაელი კორესპონდენტებიც მომეტებულ ნაწილად რამპოლას კანდიდატურას ემხრობიან. პარიზიდან ცნობა მოვიდა, ფრანგი კარდინალები ყველანი რომში მიდიანო. ჰფიქრობენ, რომ ეს კარდინალებიც რამპოლას მხარეს დაიჭერენო.

*) და ვინ მისცემს გარევის ნებას? რედ.

ახალი ამბები და შენიშვნები.

*** რომიდან დეპეშით იტყობინებიან კარდინალი სარტო პაპად არჩეულ იქმნა.

დილის 11 საათსა და 50 წამზე კარდინალმა მაკკომ გამოაცხადა წმ. პეტრეს ტაძრის აივნიდან, რომ პაპი უკვე არჩეულიაო და კარდინალი სარტო მიიღებს პიუს X სახელს. მოედანზე ჯარმა სამხედრო პატივი სცა, ხალხიც ათასობით არის შეკრებილი. პაპი პიუს X გამოჩნდა 12 საათსა და 10 წუთზე ტაძრის შიდა აივანზედ და აკურთხა ხალხი, რომელმაც თვისი აღტაცება ღაღადით გამოხატა.

პაპი პიუს X დაიბადა 1838 წელს და დიდი ნასწავლიც არის.

*** შარშან საქართველოს ექსარხოსმა შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ საეკლესიო კრებულებს მიეცეთ დასამუშავებლად მიწა. როგორც ზოგიერთი გაზეთები გადმოგვცემენ, მთავრობას უკვე ნება დაურთავს, რომ ზოგ კრებულს მიეცეს მიწა.

*** როგორც „ბაკ. იზვ."-ე გადმოგვცემს, ბაქოში მუშაობის შეჩერებამ ნავთის მწარმოებელთ 12 მილიონ მანეთის ზარალი მისცა. ზოგიერთ ქარხნებს 14 ივლისს უკვე დაუწყიათ მუშაობა.

*** რკინის გზის სამმართველოს განუზრახავს ნავთის ბეღლები ბათუმიდგან ქობულეთს გადიტანოს. სამმართველოს ნება მოსვლია გზათა სამინისტროსაგან ამ საქმეს 33,298 მანათი მოახმაროს.

*** განსვენებულის თ-დ კონსტანტინე ივანეს ძე მუხრან-ბატონის ანდერძი, შედგენილი 24 მაისს 1897 წელს, ტფილისის ოლქის სასამართლოს დაუმტკიცებია. ყოველი კეთილ-შეძენილი და მამა პაპეული მამული განსვენებულს უანდერძნია თავის მეუღლისათვის, რათა მან ისარგებლოს სიკვდილამდე; თ-დ მუხრან-ბატონის მეუღლესვე უმტკიცდება საკუთრებად ყოველი მოძრავი ქონება და ნაღდი ფული განსვენებულისა. შემდეგ მოანდერძეს მეუღლის სიკვდილისა, ყოველი კეთილშეძენილი მამული განსვენებულისა, გარდა სანავთო მიწებისა ბაქოში, უნდა გუბერნიის მარშალმა გაჰყიდოს და მაზრების მარშლების თანხმობით გაუნაწილდეს იმ სასწავლებლებს, რომლებსაც თავად-აზნაურობა ინახავს თავის

ხარჯით, ან შემწეობას აძლევს. ნავთის მიწები ბაქოში განსვენებულს უანდერძნია თ-დ დიმიტრი გიორგის ძე შერვაშიძესათვის იმ პირობით, რომ, განსვენებულს მუხრან ბატონის სიკვდილის შემდეგ, სამი წლის განმავლობაში იმ დღიდგან, როდესაც თავადი შერვაშიძე ჩაიბარებს ამ მიწებს, ეს მიწები უნდა დაფასდეს ექსპერტების მიერ და, რაც ეღირება იმის ნახევარი ნაღდ ფულად გაღაეცეს გუბერნიის მარშალს, რათა აღნიშნულს სასწავლებელთათვის გადადებულ თანხას მიემატოს.

*** ტფილისის კადეტთა კორპუსში წელს მისაღები ეგზამენები დაიწყება 27 აგვისტოს და გასტანს სამს დღეს.

*** სახემწიფოს საბჭოს დადგენილების ძალით, ტფილისისა, ქუთაისისა და ჩერნომორის გუბერნიებმა 1904—1906 წ. წ. განმავლობაში საიჯარო და საადგილ-მამულო გადასახადი ამ რიგით უნდა იხადონ. სახელმწიფო საიჯარო გადასახადი უნდა აძლიონ წელიწადში: ტფილისის გუბერნიამ ზაქათალის ოლქითურთ—484,000 მან., ქუთაისის გუბერნიამ სოხუმისა და ბათუმის ოლქებით—174,000 მან. და ჩერნომორის გუბერნიამ—13,000 მან. სახელმწიფო საადგილ-მამულო გადასახადი უნდა იხადონ თითო დესეტინაზე საშუალოდ: ტფილისის გუბერნიამ ზაქათალის ოლქით—5 კაპ. ქუთაისის გუბერნიამ სოხუმისა და ბათუმის ოლქებით—5 კაპ. და ჩერნომორის გუბერნიამ—3,2 კაპ.

*** ქუთაისის გუბერნიის და მაზრების თავადაზნაურთა-მიერ არჩეულნი მ-ზრის წინამძღოლნი, მათი თანაშემწენი, დეპუტატები და დეპუტატთა საკრებულოს მდივანი, რომელნიც მთავრობამ უკვე დაამტკიცა, 20 ივლისს ფიცს მიიღებენ საკათედრო ტაძარში და თანამდებობის აღსრულებას შეუდგებიან.

*** რკინის გზაზედ რომ უბედურება აღარ მოხდეს მოხელეთა დაღალვა-დაქანცულობის გამო, გზათა სამინისტრომ მკაცრი განკარგულება მოახდინა, რომ სადგურების და ლიანდაგის აგენტები მორიგეობას აღარ ეწეოდნენ 24 საათის განმავლობაში, როგორც აქნობამდე ყოფილა.

*** ვაუწყებთ სამღვდელო და საეკლესიო მოსამსახურეთა, რომ ყველას მათ ძველი ნამსახური ეთვლებათ პენსიის მიღებისათვინ. ამიტომ მღვდლები სამას მანეთს და მედავითნენი ას მანეთს პენსიას მიიღებენ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე.

ლოცვა

როგორც მწუხარების მომქარვებელი საშუალება.

ფარრარ.

(რუსულიდგან)

„და იყო ღვაწლსა შინა უმეტესღა ილოცვიდა“
სახ. ლუკასი 22—44.

დასასრული *)

აურაცხელი მოწყალება ღვთისა და მისი სიყვარული ჩვენდამი გამოიხატება მასში, რომ ჩვენ—შეჭირვებულთ შეგვიძლია მივმართოთ მას მაშინაც კი თუ-კი მანამდის არც ერთხელ მისდამი თვალნი არ აღგვიპყრია და არ მოგვიგონებია. რომ ლოცვა შესაძლებელი იყოს მხოლოდ მისთვის, რომელიც მუდამ პატიოსანია და კეთილ მორწმუნე, მხოლოდ მისთვის, რომელიც არასოდეს არ ყოფილა სარწმუნოების უარის-მყოფელი და ღვთის გარეშე და რომ იგი შეუძლებელ იყოს ცოდვილთათვის და მათთვის ვინც გადასცდენ კეთილს გზას და ჩავარდენ ცოდვის მორევში, მაშინ ხომ სულ ცოტა და თითქმის არავითარი მნიშვნელობა არ ექნებოდა მას ცოდვილი და დაცემული ადამიანისათვის!.. მაგრამ ჩვენი ღმერთი არის ღმერთი სიყვარულისა და ღმერთი მოწყალებისა. შეუძლია მიჰმართოს მას სულმა სასოწარკვეთილმა და მოუძლურებულმა, რომელსაც არ ძალუძს მიართვას მას სხვა რაიმე, გარდა გაცვეთილისა ‍ ‍ ‍

აი მაშინ ვითარცა მამა მოგვეგებება ჩვენ და შეგვინდობს ჱ დაგვამშვიდებს. ოჰ! როგორი ცვლილება ხდება მაშინ ჩვენს ცხოვრებაში! თქვენ ხედავთ შავის და სქელის ღრუბლებით მოსილს ცას, თქვენ უყურებთ გაყინულს და სიცოცხლე დაკარგულს დედა-მიწას, რომელიც დაფარულია ცივის თოვლით, მაგრამ დეე გამოანათოს მზემ და თქვენ თვალ-წინ გადიშლება ლაჟვარდი, მოკამკამე ცა და ათასფერის ყვავილებით და მწვანე ბალახით მოსილი და მომღიმარე დედა-მიწაც მიიქცევს თქვენს ყურადღებას. იგივე მოუვა ჩვენს დაფლეთილს და მოუძლურებულს ცხოვრებას, როდესაც ჩვენ მივმართავთ ღმერთს და გულის კარს გაუღებთ, ბრწყინვალე და გამაცოცხლებელს სხივებს მის ნათლისას. მე ის კი არ მინდა ამით ვსთქვა, რომ მწუხარება და ვაება, რომელნიც ხუთავენ ჩვენს სულსა ჱ გულს, მსწრაფლ მოისპობიან და განიდევნებიან ჩვენგან, არამედ ის, რომ ჩვენს სულსა და გულში გამეფდება მშვიდობა, გაჩნდება ძალა, მორჩილება და სასოება და ჩვენ ვიგრძნობთ ჩვენშივე ისეთ ძალას, რომელსაც ძალუძს გაუძლოს ყოველივე განსაცდელს, რომელშიდაც ჩაგვაგდებს ღმერთი; და თუ გინდ შხამიანის ისრით ვანგმირვას გვიქადდეს უფალი, მაშინაც დაუწყებთ ძებნას მას, ჱ სევდის შავბნელ ღრუბლებმაც, რომ მიმალოს ჩვენგნით მისი სახე მაშინაც-კი შევნიშნავთ იმედის ნიშანს—ცისარტყელას.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, ძმანნო, რომ რადგანაც ღმერთი არა უგულებელს ჰყოფს ლოცვასა ცოდვილისასა და შეიწყნარებს გაჭირვებულს მლოცველს, ჩვენ შეგვეძლოს დაუბრკოლებლივ ვსცოდოთ ყოველთვის, იმ იმედით, რომ მაინც შევინანებთ, როცა გაჭირვებაში ჩავარდებით. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ განზრახ ბოროტად ვსარგებლობთ ღვთის მოწყალებით და კეთილ-სახიერებით. ეს ისეთი აზრია, რომლის წინააღმდეგ უნდა ვსთქვათ, რომ სულის-კვეთება და ტანჯვა-ვაება ყოველთვის ველარ გამოიწვევს და ველარ შეჰქმნის ლოცვისადმი მოთხოვნილებას, რომ ცოდვით დამონებულს და გაქსუვებულს სულს ლოცვის სურვილიც მოსპობილი და დამონებული აქვს. მეტი ამაო და ურგები სასოება აღარ შეიძლება, როგორიც არის სასოება სიკვდილის წინ სინანულისა. თუ რატომ არის ამაო, ეს ცხადია მისთვის ვინც არა ერთხელ დასწრებია სულის უკანასკნელ აღმოფშვინვას. ლოცვა-კი მონიჭებული გვაქვს ჩვენ, როგორც საშუალება ღვთის შეგნებისა და ცნობისა, არა მხოლოდ იმიტომ, რომ მივმართოთ მას მხოლოდ სიკვდილის დროს, ანუ ჟამსა გასაჭირისასა, არამედ ყოველთვის სანამ ცოცხალ-ვართ. აკვნიდგან დაწყებული ვიდრე კუბოს ფიცრამდე. ფას-დაუდებელია ჩვენთვის ნიჭი ლოცვისა, როგორც იმიტომ, რომ მით მსუბუქდება და ისპობა მწუხარება, არა ნაკლებ იმიტომ, რომ ძლიერდება და დიდდება ყოველი უმანკო-შვება-სიხარული. მისთვის, ვისაც ჰსურს იცხოვროს ჭეშმარიტის ცხოვრებით, ლოცვა ისეთივე საჭიროა ბედნიერების დროს, როგორც უბედურობის ჟამს, ჟამსა მშვიდობიანობისასა და ჟამსა შფოთვა-ტანჯვისასა, ჟამსა სიყმაწვილისასა და ჟამსა მოხუცებულობისასა, ყოველგან და ყოველთვის იგი ერთნაირად აამაღლებს ჱ აცხოველებს ჩვენს სულს. ამის მაგალითად ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ თვით იესო: ლოცვა განაცხოველებდა მას არამც თუ როგორც კაცს მწუხარებით მოცულს, არამც თუ მხოლოდ მთვარის შუქით ოდნავ განათებულს ბაღში, სადაც უმაღლეს წერტილამდე მივიდა მისი სულის ბრძოლა, არამედ ხშირად, ძლიერ ხშირად, ყოველ დღეს და ყოველს ჟამს, პატარაობიდან დაწყებული ვიდრე ამაღლებამდე, სულის სიმშვიდის დროსაც და სიხარულის ჟამსაც. ლოცვა იგივეა სულისთვის, რაიც ნამი მინდვრის ყვავილებისათვის; დღის მზის მწვავი სხივებიდგან დამჭკნარი ყვავილები გაცოცხლდებიან ჱ გაიშლებიან, როგორც მოხვდება მათ საღამოს ნამი. რატომ არ უნდა გაგვაცოცხლოს ჩვენ ამ წყალობით აღსავსე ნამმა ჩვენის ცხოვრების ყოველს ჟამს. უკეთუ კაცს მთელს თავის ცხოვრებაშიდ ხშირად და ძლიერ ხშირად მიუმართავს ლოცვისათვის და სრულის რწმუნებით და სასოებით გაუთვალისწინებია ღმერთი სიყვარულისა და მოწყალებისა, იგი კაცი უსათუოდ ბედნიერია. დრონნი იცვლებიან და სიყმაწვილეც სჭკნება, ხოლო ცხოვრების გზაზე ხშირად შეხვდებით ჭექა-ქუხილს და მზის გამაცოცხლებელ სხივებსაც, მაგრამ თუ-კი ჩვენ ხშირად ვცხოვრობთ ლოცვით ჩვენ ბედნიერნი ვართ იმ ბედნიერებით, რომელიც არა კვდება. აი ის, რაც უნდა გულის ხმა ჰყოს და შეიგნოს კაცმა, როცა წარმოიდგენს იესო ქრისტეს გეთსიმანიის ბაღში; ცხადი ხდება ყველასათვის, რომ ლოცვას შეუძლია მზის სხივებივით გაანათლოს და გაათბოს ჩაბნელებული და გაყინული გული, რომ არ არსებობს მუდმივი და ხანგრძლივი ზამთარი და განუწყვეტელი სიბნელე იმ სულისათვის, რომელსაც გამოუბრწყინდება მზე სიმართლისა, განმკურნებელის სხივებით ნათლის მომფენელი; და ეს იმიტომ რომ ჭეშმარი-

ტი ლოცვა ყოველთვის მითვალულ არს. მართალია არიან სხვანაირი ლოცვანი იმდენად წინააღმდეგნი ღვთის ნებისა და შეუფერებელნი კაცის ჭეშმარიტი მოთხოვნილებისა, რომ ჩვენთვის საუკეთესო იქნება ესრეთი ლოცვა ღმერთმა არ შეისმინოს ⁄ ამიტომ, უკეთუ ჩვენ ვლოცულობთ და ვითხოვთ ღვთისგან ქვეყნიურს კეთილდღეობას, უნდა ვითხოვოთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი ეთანხმება ღვთის ნებას, თუ კი იგი საჭიროა ჩვენი უმაღლესი კეთილდღეობისათვის. ხოლო ყოველივე საუკეთესო და საკეთილო ჩვენი სულის წარმატებისათვის ჩვენ შეგვიძლია დაუბრკოლებლივ და უშიშრად ვითხოვოთ, სრულნი დარწმუნებულნი, რომ უკეთუ გულით ვითხოვთ ღმერთი მოგვანიჭებს მას რასაც ვითხოვთ. ვლოცვილობთ-რა რაიმე კეთილის მონიჭებას, წინდა-წინვე უნდა ვიცოდეთ, რომ ეგრეთი მოგვენიჭება ჩვენ, იმიტომ რომ, რაიც გვსურს მას ვითხოვთ, რასაც ვითხოვთ, მის შოვნასა ვცდილობთ, ხოლო რის შოვნასაც ვცდილობთ იგი მოგვეცემის ჩვენ. ჯერ არ ყოფილა ისეთი კაცი, რომლის თხოვნა—მუდარება არ ყოფილიყოს შესმენილი და ასრულებული, თუ-კი იგი თხოვილობდა რომ დღითი-დღე გაუმჯობესებულიყოს, განკეთილებულიყოს და განსპეტაკებულიყოს მისი ცხოვრება, რომ მისი გონება ამაღლებულიყოს ცათამდე, თუ-კი იგი ეევედრებოდა ღმერთს რათა აღმოფხვრილიყოს მისი გულიდგან სიძულვილი, ამპარტავნება, შური და მიდრეკილობა ქვეყნიურისადმი. ყოველივე ამისთანა შემთხვევაშიდ ღმერთი სხვა კეთილთა-შორის გვაჩუქებს ჩვენ თვით თავის-თავს; იგი ნებას გვაძლევს რომ, დაახლოებით გავიცნოთ იგი, შევიყვაროთ იგი და ვიცხოვროთ მით და მასში. როდესაც ჩვენი მუდმივი მისწრაფება შემოიფარგლება მხოლოდ სურვილით რომ ვიხილოთ სახე ღვთისა, როდესაც ჩვენთვის არავინ არს ცათა შინა გარდა მისსა და ქვეყნასა ზედა, რომელიც ჩვენთან უფრო ახლო იდგეს და ჩვენი იყოს ვინემ ის, მაშინ ჩვენ მართლაც ბედნიერნი ვართ იმ ბედნიერებით, რომელსაც ვერ შეეხება და ვერას ავნებს შხამი ცოდვისა, რადგანაც ჩვენ გვასულდგმულებს მხოლოდ ერთი სურვილი და ამ სურვილის აღსრულებაც უარყოფილი არ იქნება. შეუწყნარებელი და უარყოფილი არ დარჩება ეს ჩვენი სურვილი—თხოვნა, მეტადრე მაშინ, როცა ღმერთი შეგვამთხვევს ჩვენ რაიმე შეწუხებას. „ხოლო თქვენ აწ ჭირი გაქვს“ რქვა მათ იესო: „და მერმე კვალად გიხილნე თქვენ და უხაროდეს გულთა თქვენთა და სიხარული თქვენი არავინ მიგიღოს თქვენგან“

მღ. არტემი ბოჭორიშვილი.

მართლმადიდებლობით—ქრისტიანობრივის საეკლესიო საზოგადოებითის ღვთის მსახურების განმარტება.

(გაგრძელება*)

ნეტარ არიან ყოველნი, რომელნი ესვენ ეფალსა.—ბედნიერნი არიან ისინი, რომელნიც ესვენ უფალს, რომელთაც სრული იმედი აქვთ ღვთისა, რომელნიც მუდამ, ყოველ გარემოებაში ღვთის სახელს ახსენებენ, ღმერთზე ფიქრობენ და უეჭვნეულოდ, შეურყეველად დარწმუნებულნი არიან, რომ იგი მათ კეთილს მიაგებს, თვის სიყვარულის სხივებს მოაფენს და სამუდამოდ ნეტარ-ყოფს. ნატარ არიან ასეთნი პირნი, იმიტომ რომ იმათ იმედი აუსრულდებათ თუ ამ სოფელში არა, საუკუნო ცხოვრებაში მაინც.

ადდეგ, უფალო, მაცხოვნე, ღმერთო ჩემო!—აღსდეგ—ინებე, ისურვე. კეთილინებე, უფალო, და შემაძლებინე გემსახურო მხოლოდ შენ, ყოველი ჩემი იმედი დავამყარო მარტო შენზე, ვეომო და ვსძლიო ბოროტება, განვაკარგო განვაუმჯობესო ჩემი ბუნება ⁄ მით შენ შემოგიერთდე და ვცხონდე, განვთავისუფლდე ტანჯვა-წვალებისაგან, მოვიპოვო სრული კმაყოფილება და სიხარული.

უფლისა არს ცხოვრება, და ერსა შენსაზედ კურთხევა.—ცხოვრებასა და კურთხევას ვითხოვთ უფლისაგან, იმიტომ რომ ჩვენ არ ძალგვიძს მხოლოდ ჩვენისავე ძალით და მოქმედებით ვიცხოვნოთ თავი, ბედნიერ ვიქმნეთ; ცხოვნება ღმერთზედაა დამოკიდებული, მის შეუწევნელად ცხოვნება შეუძლებელია.

ნეტარ არიანის შემდეგ მთავარ-დიაკონი იტყვის ეგრედ წოდებულს მცირე კვერექს. კვერექსი ესე იწოდება მცირედ შედარებით დიდ კვერექსთან; იგი მხოლოდ სამის თხოვნისაგან შესდგება. ეს თხოვნები ამოღებულია დიდის კვერექსიდან. ამ კვერექსის შემდგომ მგალობელნი გალობენ: „უფალო, ღაღადვყავ შენდამი...“ 104 ფსალმუნიდან „ღაღადვყავ“ ნიშნავს—ხმა მაღლა ვსთქვი, გიგალობ, მხურვალედ გთხოვ.

უფალო, ღაღადვყავ შენდამი, ისმინე ჩემი, უფალო—უფალო! ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან: სიყრმიდანვე თანდამყვენ ბოროტნი თვისებანი; თან-

*) იხ. „მწყემსი“, № 13 1903 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეზრდილნი ცოდვითნი მიდრეკილებანი ყმაწვილო-ბაშივე გამიძლიერდნენ; მოძმეთა ჩემთა ცუდ მაგა-ლითთა სული ჩემი გარყვნეს, წარწყმიდეს, მიმაჩვიეს, ბოროტებას;—და ასე ჩემში გამეფდა ცოდვა. აწ რა შევიგენ ულირსობა—დაცემულობა ჩემი, ვცდი-ლობ ბოროტებას განვეშორო, მაგრამ ცდა-შრომა ჩემი ამაოა; მუდამ ვითმენ დამარცხებას, მუდამ ვხდები ვნებათა მსხვერპლი, და ეს მოვლენა მიმწა-რებს მე სიცოცხლესა. ვაიმე, უბადრუკსა, ვაიმე, ცოდვილსა! როდემდე ვიქნები ესრედ ტანჯული ცოდვათა მიერ? როდემდე უნდა ვიყო ვნებათაშინა? როდემდე უნდა ვიწვალო ცოდვათაგან? უფალო! გევედრები მომხედენ, დამიამენ სულისა წყლულნი დაამცხრვენ ვნებანი ჩემნი, შემოაშუქე სიბნელით მოცულს ჩემს სულში, დასთრუგნე მასში ბოროტება, გაამეფე სათნოება და მით მომანიჭე მე სიხარული. უფალო! ისმინე ჩემი, ამისრულე თხოვა-ვედრება.

მოხედენ ხმასა ლოცვისა ჩემისასა, დადგებასა ჩემსა შენდამი.—უფალო! გამრავლდნენ მოძულენი და მტერნი ჩემნი; მუდამ მდევნიან მე საწყალსა; ელოდებიან მარჯვე დროსა, ეძიებენ შემთხვევასა მახე დამიგონ, შემაცდინონ, მავნონ, დაარღვიონ ჩემი კეთილ-დღეობა, დამღუპონ. ველარ გაუძელ მათ დევნასა; ვერ აიტანა სულმან ჩემმან ამოდენი მწუხარება. უფალო! გევედრები, მომხედენ, მიხსენ მტერთაგან, დამიფარენ მათ მახვილთაგან, დამიცვენ მათ ბოროტ-მოქმედებისაგან; ნუ მიმიყვან სასოწარ-კვეთილებამდის, და ნუ წამართმევ იმედსა, ნუ ჩა-მაგდებ ცოდვაში. უფალო! ისმინე ჩემი, განფანტე მაქივრებელნი ჩემნი და დამიამენ ცხოვრება.

უფალო, ისმინე ჩემი.—უფალო! გარემომადგენ მე ჭირნი მრავალნი. სასტიკმა სიღარიბემ მომიწამ-ლა მე სიცოცხლე. ჰი, რაოდენნი კეთილ-შობლუ-რნი სურვილნი მემარხებიან, რჩებიან აუსრულე-ბელნი ნივთიერ შეძლების უქონლობისაგამო! ჰი, რა რიგ ხელს შეუწყობდა ზომიერი კეთილ-დღეო-ბა სულის ალმაფრენასა! და აწ ეს ღატაკური ცხოვ-რება ჩამი გულს მიღრღნის, მიღობავს გზას წარმა-ტებისასა. სნეულებათა შემიპყრეს; იმათგან შავნი ფიქრნი თავს დამტრიალებენ, სულიერნი ძალნი მიჩლუნგდებიან, მეხშებიან. უზომო, გადაჭარბებულ შრომა-ჯაფამან მომკლა დამაძაბუნა. და სხვა და სხვა გაჭირვებათა შემავიწროვეს, გამტეხეს, ბნელით შემ-მოსეს, გამიმრავლეს კვნესა ვაება. უფალო, გევედ-რები, მომხედენ, მიხსენ ჭირთაგან და გამიადვილე ცხოვრება.

წარემართენ ლოცვა ჩემი, ვითარცა საკმეველი შენ წინაშე, აღპყრობად ხელთა ჩემთა მსხვერპლ სამწუხროთ, ისმინე ჩემი, უფალო.—ამ სიტყვებით გამოვხატავთ სურვილს, რომ ჩვენი ზემო აღნიშნული მხურვალე თხოვა-ვედრება პირ-და-პირ ღვთისადმი წარემართოს—აღვიდეს, ისე როგორც კმევის დროს კვამლი მაღლა მაღლა ადის, და საღამოის ჩვენი ხელთ აღ-პყრობა, ანუ ლოცვა ჩვენგან მსხვერპლად მიიღოს და ნაცვლად მისა გარდამოგვივლინოს თვისი სად-მრთო მადლი და კურთხევა და დაგვიკმაყოფილოს მოთხოვნილებანი.

დასდევ, უფალო, საცვ პირსა ჩემსა და კარი ძნელი ბაგეთა ჩემთა. ისმინე ჩემი. უფალო.—ადამიანს, ჭირსა შინა მყოფსა, დიდი სიფრთხილე, დიდი მოთმენა, დიდი სიმტკიცე მართებს, რომ სულით არ დაეცეს, არ გაბოროტდეს და არ იწყოს ღვთის ყვედრება-გმობა, მოყვასთა ცუდად მოხსენება, განკიცხვა-შე-ჩვენება. და აი ჩვენ ვსთხოვთ უფალსა ამ ზომამდე ნუ მიგვიყვანს და ღვთის საგმობ და კაცთა საწყენ საშინელ სიტყვებს ნუ გვათქმევინებს.

ნუ მისდრეკ გულსა ჩემსა: სიტყვათა მიმართ უკეთუ-რებისათა, მიზეზებად მიზეზთა ცოდვისათა. ისმინე ჩე-მი, უფალო.—შევიწროებული მდგომარეობა ადამი-ანისათვის დიდად დამაბრკოლებელია; მას იგი დიდ განსაცდელში შეყავს ხოლმე, ხშირად კიდევაც აი-ძულებს მას ბოროტებისადმი; კაცს ხასიათის სიმტკი-ცე უნდა ქონდეს, რო თავი დაიჭიროს და ცოდვა არ ჩაიდინოს. მომეტებულ ნაწილად, ადამიანი თავს ვერ იკავებს, ცოდვას იქმს და თავს იმართლებს იმითა, რომ მას ცოდვა გაჭირვებამ აქმნევინა; ღმე-რთმა მასზე ხელი აიღო, უმწეოდ დასტოვა და იგი იძულებული იყო ულმობელ გასაჭირ გარემოებას დამორჩილებოდა, ბოროტება ჩაედინა. ასეთი ქცევა, ასეთი მართლება თავისა დიდად საშიშია, და აი ღმერთსა ვსთხვთ დაგვიფაროს იმისგანა.

კაჭახიძე.

(გაგრძელება იქნება)

განცხადებანი.

ქუთაისის
სათავად-აზნაურო სასწავლებელი
ა ც ხ ა დ ე ბ ს

რომ მიმდინარე წლის ენკენისთვისათვის 40 თავისუფალი ვაკანსია არის პირველ განყოფილებაში, რომელშიდაც მიიღებიან შვიდი და რვა (7-8) წლის ყმაწვილები. დანარჩენ განყოფილებებში და პროგიმნაზიულ კლასებში თავისუფალი ადგილი სრულიად არ მოიპოვება.

თხოვნების მიღება გაგრძელდება ოცდა-ხუთ მარიამობის თვემდის; თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს წლოვანების, აზნაურობის და ყვავილის აცრის მოწმობები.

ყმაწვილების მიღება დანიშნულია 27 მარიამობის თვეს. ხელმეორედ გამოცდა, რომელიც მაისში დაენიშნა მოსწავლეებს, მოხდება 25 და 26 მარიამობის თვეს.

სწავლა დაიწყება 1 ენკენისთვეს.

3—2

ქვირილაში გალობის მასწავლებელი სერგეი ჯინჭველაშვილი ასწავლის ქართულს საეკკლესიო და საერო გალობას ნოტების საშუალებით. თანაც ამზადებს მოსწავლეებს საქალაქო სასწავლებლისათვის.

ბ ი ნ ა: ვასილ მაჭავარიანის სახლი—ზედა ხიდის პირდაპირ.

მშვენიერია
საუმჯობესო და სასაჩუქრო!
პ უ რ ჩ მ ა თ
ქალბატონებს და ქალიშვილებს...
წმიდა ოქროსაგან 56 პრობისა



1) **ქინძისთავი** ოქროსი, რომელშიაცა მოწყობილია ხელოვნური ბრილიანტები, რომელნიც მშვენიერად მღველვარებენ და გარშემოვლებული აქვს ლალს, ზურმუხტს, ფირუზს და იაგუნდს (გამორჩევისამებრ შემკვეთთა).

2) რწყვილი დიდი მშვენიერი **საყურეები** ოქროსი ისეთივე ხელოვნებისა.

3) **ბეჭედი** ოქროსი იმავე ფასონისა.

გაიგზავნება ფას დადებით და უბეოდ **რვა** მანეთად.

ესეები ყველა და სამაჯური იმავე ფასონისა

თ უ თ ხ მ ე ტ მ ა ნ ე თ ა დ

ადრესი: სავაჭრო სახლი **ი. გ. შაპისსო** და ამხ. **ოდესაში.**

შ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტერატურო განყოფილება: სად უნდა ინახებოდენ ჩვენი წმიდა და შესანიშნავი საეკკლესიო ნივთები. დეკ. დ. ღამბაშიძისა.—უქმე და მისი მნიშვნელობა მღ. კ. ანთაძის.—კიევის აკადემიის რექტორი ყ-დ სამღვდელო პლატონი ქუთაისში.—წესი რომის პაპთა აღმორჩევისა.—სომხის კათოლიკეთა სურვილი.—საზარელი მკვლელობა—ძველის ჩვეულებით ტირილი.—ჟურნალ-გაეთებიდან.—ახალი ამბები და შენიშვნები

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ-ზნეობაზე: ლოცვა, როგორც მწუხარების მომქარვებელი საშუალება. მღ. არტემ ბოჭორიშვილისა.—ღვთის მსახურების განმარტება, კაჭახიძის.—განცხადებანი.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою Архимандритъ Георгій 31 іюля *1903г.*

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Квирилахъ въ собст. домѣ.